*სასამართლო გაეცნო წარმოდგენილ სასარჩელო განცხადებას და თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი არ უნდა იქნეს მიღებული, შემდეგ გარემოებათა გამო:*

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა უპასუხებდეს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით. სარჩელში სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოსარჩელის მოსაზრებები საქმის თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი), აგრეთვე არსებობის შემთხვევაში ალტერნატიული მისამართი, სამუშაო ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი, მათ შორის, მობილურის, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსი. სარჩელში შესაძლოა მოსარჩელემ ან მისმა წარმომადგენელმა ასევე მიუთითოს საკონტაქტო პირის მონაცემები.

განსახილველ შემთხვევაში სასამართლოს მიაჩნია, რომ დასაზუსტებელია

მოპასუხეთა წრე კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ მოპასუხეთა წრე [REDACTED] განსაზღვრა სარჩელზე თანდართული დოკუმენტის - ფართების განაწილების მიხედვით, მაშინ მოპასუხედ არ არიან მითითებულები მაგ. [REDACTED] და სხვა ფართების მფლობელები. შესაბამისად უნდა დაზუსტდეს მოპასუხეთა წრე და განისაზღვროს მათი კანონით გათვალისწინებული ყველა რეკვიზიტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" და "ვ" ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღნიშნოს კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.

მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ნინო თენაძე აღნიშნავს, რომ 2006 წლის 3 დეკემბრის ხელშეკრულებითა და 2006 წლის 12 სექტემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა გადახდილი აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, თუმცა ხსენებულის საწინააღმდეგოდ სარჩელში არ უთითებს გადახდის კონკრეტულ თარიღს და არც შესაბამის მტკიცებულებაზე უთითებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის "თ" ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის "თ" და "ი" ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

*სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე, 178-ე, 186-ე, 187-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და*

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. მოსარჩელე [REDACTED] უარი ეთქვას სარჩელის მიღებაზე.
2. მასვე ჩაბარდეს განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ და შემოტანილი საბუთები.
3. განემარტოს მოსარჩელეს, რომ აღნიშნული უარი სარჩელის მიღებაზე ხელს არ უშლის განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.
4. განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოში მხარისათვის განჩინების ასლის გადაცემიდან 12 (თორმეტი)

დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე:

შორენა ჯანხოთელი



საქართველოს პროკურატურა  
საქართველოს გენერალური პროკურატურა  
Prosecution Service of Georgia  
Office of the Prosecutor General of Georgia



KARUT1902951380620

0114 ქობულაძის, გორგასლის ქაჩა, 3014 თელ: 2 405 344, 2 405 345  
ელ. ფოსტა: საპროკურორეო@სსსსპ.საგარეო.სსსსპ

№ 13/65607


20 / ნოემბერი / 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის  
დეპარტამენტის უფროსს  
ქალბატონ თინათინ აბრეღავას  
მის: ქ. თბილისი, ბოტორძის ქ. N12


ქალბატონ თინათინ,

თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის N1172-03 განცხადების პასუხად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
მოსამართლეობის კანდიდატების შიშართ დამარაღებულად ცნობის თაობაზე გამოტანილი  
დადგენილებების შესახებ განვობებთ შემდეგს:

2012 წლის 08 თებერვალს შსს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-5 განყოფილებაში დაინყო გამოძიება  
სისხლის სამართლის N007080212007 საქმეზე, გიორგი გოგიაშვილის (პ/ნ 01025007009) საცხოვრებელი ბინის  
გაქურდვის ფაქტზე, დანამადული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და  
მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით. 2012 წლის 07 მარტს, გიორგი გოგიაშვილი ცნობილი იქნა დამარაღებულად.  
საქმეზე შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა, ბრალდებაზე უარი თქმის გამო.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
დეპარტამენტის უფროსის  
№ 3130  
20 11 2020



პატივისცემით,

იურიდიული სამსარტველოს უფროსი

ხელოწარღია/  
შტაშადასშულა  
ელაბროწაწად 

ნათია კორგოძე



**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სა ხ ე ლ ი თ**

**I შ ე ს ა ვ ა ლ ი**

29 დეკემბერი, 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - გიორგი გოგიაშვილი

სხდომის მდივანი - ლიანა გელაშვილი

აპელანტები - ა--- ა----ი, ვ--- მ-----ი, ს---- ს-----ი  
წარმომადგენელი - ე-- გ-----ი

მოწინააღმდეგე მხარე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია  
წარმომადგენელი - ბ--- ნ---ე

მოწინააღმდეგე მხარე – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის  
საქალაქო სამსახური  
წარმომადგენელი - ლ-- რ----ე

დავის საგანი – ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის  
ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №0--- დადგენილება,  
ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის  
30 ოქტომბრის №--- ბრძანება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება

**II ა დ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

1. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა - გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით ა--- ა----ის, ვ--- მ---ის და ს-- ს---ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.2. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.10.2014 წლის №--- - გადაწყვეტილებით ვ--- მ----ის (პ/ნ ----) მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, სოფელ ფ---ში მოქალაქეების ს--- ს---ის, ვ--- მ----ის და ა--- ა----ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი ----) დადასტურდა 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობა, რადგან განმცხადებლის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნებოდა I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- ქალაქ თბილისის მერიის სსპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.10.2014 წლის №--- -- გადაწყვეტილება (ს.ფ. 18-19)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01/04/2015 წლის №--- -- გადაწყვეტილებით, ვ---- მ----ის (პ/ნ ----) მიერ წარდგენილი ფოტომონტაჟის (არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) საფუძველზე, ქ. თბილისში, სექტორი-ფ---ა, სოფელ ფ-----აში, მოქალაქეების ს---- ს-----ის, ვ----- მ----ის და ა--- ა-----ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.№---), ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 28 ოქტომბერს გაცემულ №----- გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება (კორექტირება).

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01/04/2015 წლის №---- გადაწყვეტილება (ს.ფ. 20-21)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №--- გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის

არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის №---- და 2015 წლის 1 აპრილის №--- გადაწყვეტილებები იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებებში შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტების წარდგენის გარეშე განხორციელდა ისეთი ცვლილება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებდა პროექტის კორექტირებასა და მშენებლობის ნებართვის თავიდან აღებას.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

-ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №-- გადაწყვეტილება (ს.ფ. 22-24)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 21 მაისის №---- მითითებით ა--- ა-----ს, ვ---- მ---ს და ს--- ს---ს დაევალოთ მითითების გაცემის მომენტისთვის არსებული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა ან ღობისა და ჭიშკრის დემონტაჟი უსაფრთხოების წესების დაცვით, რადგან ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №--- გადაწყვეტილების თანახმად, თანასაკუთრებაში განხორციელებული ღობის და ჭიშკრის მოწყობა წარმოადგენდა უნებართვო მშენებლობას .ამავე მითითებით მხარეს დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადა.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 21.05.2015 წლის №---- მითითება (ს.ფ 25)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 ივნისის №--- შემოწმების აქტით დადგინდა, რომ ა--- ა-----ს მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №---- მითითებით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდა.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 10.06.2015 წლის №---- შემოწმების აქტი (ს.ფ 238-239)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №---- დადგენილებით ა--- ა-----ი, ვ--- მ-----ი და ს--- ს----ი დაჯარიმდნენ 8.000 (რვაათასი) ლარით ქ. თბილისში, სოფელ ფ-----ში, ----- საკადასტრო კოდით, თანასაკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ღობისა და ჭიშკრის მოწყობისთვის და დაევალოთ უნებართვოდ მოწყობილი ღობისა და ჭიშკრის დემონტაჟი, ვინაიდან მათ მიერ არ შესრულდა მითითებით

გათვალისწინებული მოთხოვნები.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №---- დადგენილება (ს.ფ 30-32)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის 2015 წლის 30 ოქტომბრის №---- ბრძანებით მოქალაქეების ა---- ა----ს, ს---- ს----ის და ვ--- მ----ის წარმომადგენლების ნ---- წ----ის და თ--- ხ-----ის 2015 წლის 27 აგვისტოს №---- ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №----- დადგენილება, იმ საფუძველით, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №--- კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის №---- და 2015 წლის 1 აპრილის №----- გადაწყვეტილებები, შესაბამისად, მხარეს წარმოეშვა ვალდებულება გასაჩივრებული აქტების საფუძველზე მოწყობილი ღობისა და ჭიშკრის დემონტაჟისა, რადგან სადაო დადგენილების მიღების დროს განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები წარმოადგენდა უნებართვოს.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებას:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის 2015 წლის 30 ოქტომბრის №---- ბრძანება (სფ 37-41)

სასამართლომ დადგინდად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადასტურებულია ის გარემოება, რომ მოპასუხეებმა - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოსცეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების გამოკლევისა და შეფასების საფუძველზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. აღნიშნული ნორმის შინაარსი გულისხმობს იმას, რომ მოდავე მხარეებს თანაბარი შესაძლებლობა აქვთ

განკარგონ ფაქტიური გარემოებების დადგენის საპროცესო საშუალებები, აგრეთვე, მხარეთა უფლებას, მიუთითონ ფაქტებზე თავიანთი მოთხოვნების დასასაბუთებლად და წარმოადგინონ მტკიცებულებები ამ ფაქტების დადასტურება-დამტკიცებისათვის. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს სადავო სამართლებრივი ურთიერთობის არსებობისა თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარის მიერ მიცემული ნებისმიერი ახსნა-განმარტება სადავო ურთიერთობის ან საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად უნდა ჩაითვალოს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე იმ გარემოებას, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღებისას დარღვეული იქნა საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მოთხოვნები,- ასაბუთებს სასამართლოსათვის მიცემული ახსნა-განმარტებით, რაც საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ერთობლიობაში შეფასების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე ვერ იქნება გაზიარებული.

### **2.3. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №---- დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილის 2015 წლის 30 ოქტომბრის №--- ბრძანება ა--- ა---ის,

ს--- ს----ის და ვ--- მ----ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის საფუძველზე წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და დავის განხილვისას უნდა შემოწმდეს გასაჩივრებული აქტების შესაბამისობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ აქტის გამოცემის მომწესრიგებელ შესაბამის ნორმებთან, ასევე სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელებს ა--- ა----ის, ს--- ს----ის და ვ--- მ----ის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №---- დადგენილების ბათილად ცნობა.

საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი არეგულირებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა წარმოება, მშენებლობა, მონტაჟი, შენახვა, ტრანსპორტირება, ბრუნვა, გამოყენება და განადგურება შეიცავს ნგრევის, აფეთქების, ემისიისა და ინტოქსიკაციის შესაძლებლობას და არის მომეტებული რისკი ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოსთვის. ამავე კანონის 15-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა, კერძოდ „ა“ ქვეპუნქტის თანახმად - მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი (შემდგომ - ობიექტი) არის - ტექნიკური ნაკეთობა, დანადგარი, მოწყობილობა, მათი ნებისმიერი კომბინაცია, შენობა-ნაგებობა, მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი, შეზღუდულად ბრუნვადი ნივთიერება ან ისეთი საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტი და პროცესი, რომელიც შეიცავს პოტენციურ ტექნიკურ საფრთხეს და რომელსაც ავარიის ან არასწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებასა და გარემოს. „ი“ ქვეპუნქტის თანახმად კი სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები არიან - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულებების სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის უფლებამოსილი ორგანოები.

სასამართლომ მიუთითა, რომ დასახელებული ნორმების ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური წარმოადგენს სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და სწორედ მის კომპეტენციას განეკუთვნება სამშენებლო საქმიანობის პროცესში იმგვარი დარღვევის გამოვლენა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება, როგორცაა პროექტის დარღვევით მშენებლობის, უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება.

საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლი განსაზღვრავს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესს. კერძოდ, დასახელებული მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას იწყებს დამრღვევის მიმართ მითითების გაცემით, გარდა ამ მუხლის 23-ე ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო ამოწმებს დამრღვევს, რაზედაც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებით, კერძოდ: ა) მითითება შესრულდა; ბ) მითითება არ შესრულდა; გ) მითითება არადროულად სრულდება.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ა--- ა-----ის, ს--- ს-----ის და ვ---- მ-----ის მიმართ 2015 წლის 21 მაისს შედგენილი იქნა მითითება №-----, რომლის გაცემით დაიწყო სამშენებლო სამართალდარღვევის საქმე ქ.თბილისში, სოფელ ფ-----ში, №--- საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის უნებართვოდ მშენებლობის ფაქტზე. ამავე მითითებით, სამართალდამრღვევს განესაზღვრა 15 დღიანი ვადა მითითების გაცემის მომენტისთვის არსებული შესაბამისი დოკუმენტაციის წარსადგენად.

ასევე დადგენილია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წლის 10 ივნისს შედგა შემოწმების აქტი №----- ა---ა-----ის მიმართ, რომლის თანახმად, არ იქნა შესრულებული მითითების პირობები.

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 25-ე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ შემოწმების აქტში დაფიქსირებულია დარღვევა, აქტის საფუძველზე სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას:

- ა) დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;
- ბ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობისა და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;
- გ) დამრღვევის დაჯარიმებისა და საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივ დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერებისა და დემონტაჟის შესახებ.

საქართველოს კანონი პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და

წყლის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას: კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე – 8 000 ლარით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წლის 10 აგვისტოს მიღებულ იქნა №--- დადგენილება „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“, რომლის თანახმადაც ა--- ა--- ი, ს--- ს----ი და ვ--- მ----ი დაჯარიმდნენ 8 000 (რვა ათასი) ლარით, ქ. თბილისში, სოფელ ფ----ში, №---- საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის უნებართვოდ მშენებლობის ფაქტზე. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №--- გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის №---- გადაწყვეტილება 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 აპრილის №---- გადაწყვეტილება 2014 წლის 28 ოქტომბრის №----გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის შესახებ.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეს დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს.

დასახელებული დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა 5 კლასად: ა) I კლასი – შენობა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს; ბ) II კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით; გ) III კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით; დ) IV კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით; ე) V კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მომეტებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები).

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელების მიერ განხორციელებული 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობა და ჭიშკრის მოწყობა თავისი მახასიათებლით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას, სადაც მშენებლობა დასაშვებია ნებართვის გარეშე, მაგრამ ამავე დადგენილებას გააჩნია დათქმა იმის

შესახებ, რომ I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, რაც ნიშნავს იმას, რომ I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელმა პირმა უნდა მიმართოს ნებართვის გამცემ ორგანოს და აცნობოს მის მიერ განზრახული I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის შესახებ, რომელზეც ნებართვის გამცემი ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დაგეგმილი მშენებლობის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის თაობაზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლის 10-ე ნაწილის თანახმად, ამ დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება განიხილება, როგორც უნებართვო მშენებლობა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის კანონიერ ძალაში შესულ №--- გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ქ. თბილისში, სოფელ ფ---ში, ა--- ა----ის, ს--- ს---ის და ვ---- მ----ის მიერ №---- საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 28 ოქტომბრის №--- გადაწყვეტილება და 2015 წლის 1 აპრილის №---- გადაწყვეტილება კორექტირების შესახებ ბათილად იქნა ცნობილი. ამდენად, მხარეს წარმოეშვა ვალდებულება გასაჩივრებული აქტების საფუძველზე მოწყობილი ღობისა და ჭიშკრის დემონტაჟისა, რადგან სადაო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 10.08.2015წლის №--- დადგენილების მიღების დროს განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები წარმოადგენდა უნებართვოს.

გარდა ამისა, მხარეებს მითითებით განსაზღვრულ ვადაში არ განუხორციელებიათ არანაირი მოქმედება დარღვევის გამოსასწორებლად; ასევე რაც, მნიშვნელოვანია, მოსარჩელებს სადავოდ არ გაუხდიათ და არ გაუსაჩივრებიათ სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 აპრილის გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 28 ოქტომბრის №--- და 2015 წლის 1 აპრილის №--- კორექტირების შესახებ გადაწყვეტილებები. ამდენად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებისას, მოსარჩელებს აღარ ჰქონდათ არანაირი მშენებლობის წარმოების თანხმობა და მათ ასეთი თანხმობა არც დარღვევის გამოსწორებისათვის მიცემულ ვადაში მოუპოვებიათ;

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

უფლებამოსილი იყო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიეღო გადაწყვეტილება სამშენებლო სამართალდარღვევის ჩადენის გამო ა--- ა---ის, ს-- ს---ის და ვ-- მ---ის დაჯარიმების თაობაზე, შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №---- დადგენილება კანონიერია და მოთხოვნის ამ ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

მოსარჩელე მხარის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 30 ოქტომბრის №--- ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ა--- ა---ის, ს--- ს---ის და ვ--- მ---ის წარმომადგენლებს ნ--- წ---ს და თ--- ხ---ს ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე ეთქვა უარი. მოთხოვნის ამ ნაწილში სასამართლომ სარჩელი ასევე უსაფუძვლოდ მიიჩნია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. ამავე კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთერთი შემდეგი გადაწყვეტილება: ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ; ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე; გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის განმხილველმა ორგანომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე და შესაბამისად არ არსებობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 30 ოქტომბრის №--- ბრძანების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საქმეში არსებული

მტკიცებულებებით დასტურდება, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარებული იქნა ადმინისტრაციული წარმოება და მხოლოდ საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის შემდგომ იქნა მიღებული გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 60<sup>1</sup>-ე მუხლში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო მოსარჩელების მიერ სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის შესაბამისად ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სადაო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ისეთ პროცედურული ნორმების არსებით დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც ზემოაღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა--- ა----ის, ს--- ს----ის და ვ--- მ----ის სარჩელი უსაფუძვლოა, გასაჩივრებული სადაო აქტები მიღებულია კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით და შესაბამისად არ არსებობს მათი ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, გასაჩივრებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ასახული კონკრეტული ურთიერთობის მოწესრიგება შეესაბამება მათი გამოცემის სამართლებრივ საფუძვლებს და წინააღმდეგობაში

არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

### 3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები:

აპელანტები ითხოვენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმებას და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებას.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სადავო აქტები გამოსცეს საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე. მითითებული საკითხი წარმოადგენს არა ფაქტობრივ გარემოებას, არამედ სასამართლოს მიერ განხორციელებულ სამართლებრივ შეფასებას.

მითითებულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ არ შეფასებულა ის გარემოება, თუ რამდენად განხორციელეს მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შეფასება. კერძოდ კი, სასამართლოს და მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებსაც არ გამოუკვლევიათ ის გარემოება, რომ აპელანტების მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები, რომელიც სადავო დადგენილების თანახმად სამართალდარღვევად არის შეფასებული, განხორციელდა იმ დროის მონაკვეთში, როდესაც აპელანტებს თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მინიჭებული ჰქონდათ I კლასის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა და განხორციელებული სამუშაოები მთლიანად შესაბამისობაში იყო არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებულ ფოტომონტაჟთან. შესაბამისად, აპელანტებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ ისეთი ქმედების განხორციელების გამო, რომელიც მისი განხორციელების მომენტისთვის არ წამოადგენდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო სასამართლოსა და მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გამოკვლეული ყოფილიყო სწორედ ის გარემოება, თუ როდის განხორციელდა იმ სამშენებლო სამუშაოების წარმოება, რომელიც სადავო აქტებით სამართალდარღვევად შეფასდა.

მითითებულ შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილება არასათანადოდ არის დასაბუთებული, რამდენადაც მითითებულ დავაში ქმედების (სამშენებლო სამუშაოების) განხორციელების დროს დავის გადაწყვეტისთვის ერთ-ერთი ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა, შესაბამისად მნიშვნელობა ჰქონდა სასამართლოს დეტალურად შეეფასებინა და დაესაბუთებინა, რამდენად წარმოადგენდა აპელანტთა მიერ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება იმ პერიოდში, როდესაც მათ გააჩნდათ ასეთი სამუშაოების განხორციელების თანხმობა.

აპელანტთა მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოყენა ის ძირითადი კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა საქმეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კერძოდ კი, აღნიშნულ შემთხვევაში აპელანტთა დაჯარიმება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელდა "პრუდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ"

ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, "უნებართვო მშენებლობის ან/და რეკონსტრუქციის წარმოება მშენებლობის განხორციელების სპეციალური რეჟიმის ზონაში, სადაც დადგენილია მშენებლობის განხორციელების განსაკუთრებული რეჟიმი, ტყის ფონდისა და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, რომელიც იწვევს შენობა-ნაგებობის გაბარიტების ცვლილებას, გამოიწვევს დაჯარიმებას 8 000 ლარით.

შესაბამისად, მითითებული ნორმის ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენს განხორციელოს უნებართვოდ წარმოებული სამშენებლო სამუშაოების პრევენცია და მსგავსი საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების სფეროში მოქცევა. ნორმის თანახმად, სამართალდარღვევის ქმედებას წარმოადგენს, არა ზედამხედველი სამსახურის მითითების შეუსრულებლობა, არამედ უნებართვო სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

თავის მხრივ ა--- ა---ის, ვ--- მ---ისა და ს--- ს---ის მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები არ წარმოადგენს უნებართვო მშენებლობის წარმოებას, რამდენადაც ამ პირებმა I კლასის სამშენებლო სამუშაოები (4მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობა) სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის N--- გადაწყვეტილებითა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 აპრილის N--- გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლითაც I კლასის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის გამცემმა ორგანომ განმცხადებლებს დაუდასტურა ფოტომონტაჟის საფუძველზე წარდგენილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა.

ზედახმედველობის საქალაქო სამსახურის მიერ სამშენებლო სამუშაოების უნებართვობა უკავშირდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07.04 N-- გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ამავე სამსახურის 2015 წლის 1 აპრილის N--- და 2014 წლის 28 ოქტომბრის N--- გადაწყვეტილებები.

აპელანტების მითითებით, იმ აღმჭურველი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რომელიც პირს ანიჭებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას, ავტომატურად არ წარმოადგენს ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების უნებართვოდ მიჩნევის შესაძლებლობას.

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულით გათვალისწინებული სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, მოქალაქეთათვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ერთგვარი სამართლებრივი განჭვრეტადობის (Legal certainty) შესაძლებლობა. მოქალაქეებს სახელმწიფოსთან სამართლებრივ ურთიერთობებში შესვლისას უნდა ჰქონდეს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შეგრძნება და არ უნდა იყოს მუდმივი შიშის ქვეშ, თუ როდის გააბათილებს სახელმწიფო მის სასარგებლოდ გაცემულ აქტს და დააკისრებს პასუხისმგებლობას იმ ქმედებისთვის, რომელიც პირმა საკუთარი

განზრახვით მთლიანად სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცია. იმ გარემოებას, რომ თავისთავად აღმჭურველი აქტის გაბათილებამდე განხორციელებული მოქმედება და სამართლებრივი თუ ფაქტობრივი შედეგები არ წარმოადგენს უკანონოს და დასჯად ქმედებას, ადასტურებს ის გარემოებაც, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 პრიმა მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა: ა) მისი ძალაში შესვლის დღიდან; ბ) მისი ბათილად ცნობის დღიდან; გ) მომავალში, კონკრეტული თარიღის მითითებით.

შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ კონკრეტული აქტის ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად უნდა განსაზღვროს მისი სამართლებრივი შედეგი. მითითებულ შემთხვევაში, არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 7 აპრილის N--- გადაწყვეტილების ტექსტში, ზემოაღნიშნული ნორმის იმპერატიული შინაარსის მიუხედავად ვერ ვხდებით. შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურმა ფაქტობრივად გადაუწყვეტელი, ინტერპრეტაციებზე დამოკიდებული დატოვა მითითებული საკითხის გადაწყვეტა.

აღნიშნულ შემთხვევაში, რამდენადაც N--- გადაწყვეტილების ტექსტში მითითებულია, რომ მოხდა მის მიერ გამოცემული აქტების ბათილად ცნობა, დამატებითი დათქმების გარეშე და აქტის ძალაში შესვლის ვადის მითითების გარეშე, მოქმედებს პრეზუმცია, რომ აქტების ბათილად ცნობა განხორციელდა გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის კოდექსის 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედება თავისი არსით წარმოადგენს სამართალდარღვევას, შესაბამისად აღნიშნული მუხლის საფუძველზე საქმის წარმოებისას მასზე ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა." შესაბამისად, პირის სამართალდამრღვევად მიჩნევის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მის მიერ განხორციელებული ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. მართლწინააღმდეგობის არსებობის/არარსებობის საკითხი წყდება ქმედების განხორციელებისთვის არსებული სამართლებრივი წესრიგის შესაბამისად. კერძოდ კი, ასკ-ს მე-9 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენმა პასუხი უნდა აგოს სამართალდარღვევის ჩადენის დროს და ადგილას მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტება. "საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს რა კანონის უკუძალით გამოყენების აკრძალვის კონსტიტუციურ გარანტიას, განსაზღვრავს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს - Nullum crimen, nulla poena sine praevia lege poenali, „ის ზღუდავს კანონმდებლის თავისუფლებას, შემოიღოს ისეთი კანონი, რომელიც ადამიანს პასუხისმგებლობას დააკისრებდა იმ ქმედებისათვის, რაც მისი ჩადენის მომენტში არ იყო დასჯადი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი კანონის დროში მოქმედების საფუძველს განსაზღვრავს, რაც სამართლებრივი უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პრინციპების დაცვის აუცილებლობით არის განპირობებული. ის ასევე კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას შეიცავს, რამდენადაც დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც წარსულში განხორციელებულ და დასრულებულ ქმედებას სამართალდარღვევათა რიცხვს რეტროაქტიურად მიაკუთვნებს, დააწესებს ან გაამკაცრებს პასუხისმგებლობას და ამით სამართლებრივ შედეგებს ex post facto შეცვლის. „ამ პრინციპის დაუცველობის შემთხვევაში საფრთხის ქვეშ აღმოჩნდებოდა არა მარტო ცალკეული ადამიანის კონსტიტუციური უფლებები, არამედ ღირებულებათა წესრიგი, სამართლებრივი უსაფრთხოება, რომელიც თავად წარმოადგენს კონსტიტუციურ უფლებათა არსებობის (დაცვის) საძირკველს. ღირებულებათა ნორმატიული წესრიგი ცალკეული მოქალაქის ქცევათა დეტერმინაციის საშუალებაა. ასეთი წესრიგის პირობებში ადამიანებს აქვთ გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელმწიფო იმოქმედებს სამართლით დადგენილ ფარგლებში და მის მიერ ჩადენილ მოქმედებას შეაფასებს არსებული ნორმატიული სინამდვილის პირობებში“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-1).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უკუძალის აკრძალვა არ ვრცელდება მხოლოდ სისხლის სამართლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობაზე. „კონსტიტუცია ზოგადად საუბრობს სამართალდარღვევაზე და უნდა ვიფიქროთ, რომ მასში არ მოიაზრება მარტო სისხლისსამართლებრივი დელიქტები. ... კანონის უკუძალის აკრძალვის პრინციპი კონსტიტუციის ამ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, გულისხმობს იურიდიული პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი კანონისათვის უკუძალის აკრძალვას“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის N1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-4).

მითითებულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს, რომ აპელანტების მიერ არ ხორციელდებოდა დენადი ქმედება, რომელიც დაიწყო და გრძელდებოდა თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემული აღმჭურველი აქტების გაბათილების შემდეგაც, არამედ ის ქმედება, რომლისთვისაც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა მათ დააკისრა პასუხისმგებლობა წარმოადგენდა დასრულებულ ქმედებას და მოქმედება დასრულებული იყო იმ პერიოდში, როდესაც მათ გააჩნდათ I კლასის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თანხმობა არქიტექტურის სამსახურისგან და შესაბამისად გააჩნდათ იმის კანონიერი მოლოდინი, რომ არ მოხდებოდა ამ აღმჭურველი აქტების ბათილად ცნობა.

შესაბამისად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა აპელანტებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დააკისრა იმ ქმედების განხორციელებისთვის, რომელიც მისი განხორციელების მომენტისთვის წარმოადგენდა კანონიერ და არა მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

შესაბამისად, ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა პირების ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემა და 8000 ლარიანი ჯარიმის გადახდის ვალდებულების დაკისრება ფაქტობრივად განახორციელა უკუძალის გამოყენების საშუალებით.

ასკ-ს მე-9 მუხლის თანახმად, აქტებს, რომლებიც აწესებენ ან აძლიერებენ პასუხისმგებლობას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, უკუქცევითი ძალა არა აქვს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დაუშვებელი იყო აპელანტთათვის ისეთი ქმედების განხორციელებაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელიც მისი განხორციელების დროს იყო კანონიერი და პირებს არ შეიძლებოდა ჰქონოდათ არანაირი მოლოდინი მათი ქმედების მომავალი შესაძლო უკანონობის თაობაზე. შესაბამისად, აპელანტების მიერ არ განხორციელებულა არც უნებართვო სამშენებლო სამუშაოების და შესაბამისად არც მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება.

აპელანტების მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა ის კანონი (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი), რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა ის ნორმები, რომელიც გამოიყენა, რის საფუძველზეც საბოლოოდ მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რამდენადაც სასამართლოს მიერ საქმისთვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემის შემთხვევაში არსებობდა სადავო აქტების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი.

### III სამოტივაციო ნაწილი:

#### 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტების მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს;

#### 4.1. ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1. სააპელაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებული უნდა იქნას ახალი გადაწყვეტილება, ა--- ა----ის, ვ--- მ----ის და ს--- ს----ის სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატა ზოგადად იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მიუთითებს მათზე და აღნიშნავს შემდეგს:

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.10.2014 წლის №--- - გადაწყვეტილებით ვ--- მ---ის (პ/ნ ---) მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ქ. თბილისში, სოფელ ფ---ში მოქალაქეების ს-- ს---ის, ვ--- მ----ის და ა-- ა----ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი ----) დადასტურდა 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობა, რადგან განმცხადებლის მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნებოდა I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებდა მშენებლობის ნებართვას.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01/04/2015 წლის №--- გადაწყვეტილებით, ვ--- მ----ის (პ/ნ ----) მიერ წარდგენილი ფოტომონტაჟის (არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) საფუძველზე, ქ. თბილისში, სექტორი-ფ---, სოფელ ფ---ში, მოქალაქეების ს--- ს---ის, ვ---მ----ის და ა-- ა----ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.№---), ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 28 ოქტომბერს გაცემულ №1--- გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება (კორექტირება).

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #--- სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჭიშკრის, კარებების და ღობის ჯამური საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 7100 ლარს. ჩატარებული აზომვების საფუძველზე ჭიშკრის სიმაღლემ შეადგინა 260 სმ; ღობის სვეტების სიმაღლემ სამი ერთეულის 253 სმ. სამი ერთეულის 217 სმ. ორი ერთეულის 211 სმ. ერთი ერთეულის 206 სმ. და ერთი ერთეულის 238 სმ.

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №--- გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის №--- და 2015 წლის 1 აპრილის №--- გადაწყვეტილებები იმ საფუძველით, რომ აღნიშნულ გადაწყვეტილებებში შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციისა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტების წარდგენის გარეშე განხორციელდა ისეთი ცვლილება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროებდა პროექტის კორექტირებასა და მშენებლობის ნებართვის თავიდან აღებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 21 მაისის №--- მითითებით ა-- ა---ს, ვ---- მ---ს და ს--- ს----ს დაევაღათ მითითების გაცემის მომენტისთვის არსებული შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარდგენა ან ღობისა და ჭიშკრის დემონტაჟი უსაფრთხოების წესების დაცვით, რადგან ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №--- გადაწყვეტილების თანახმად, თანასაკუთრებაში განხორციელებული ღობის და ჭიშკრის მოწყობა წარმოადგენდა უნებართვო მშენებლობას. ამავე მითითებით მხარეს დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული 21.05. 2015 წლის #--- მითითების შესასრულებლად ვ-- მ---მა მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა 4მ-დე სიმაღლის მქონე ღობის კორექტირება. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 09.06. 2015 წლის გადაწყვეტილებით, ვ. მ---ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით რომ, „სსიპ მერიის არქიტექტურის სამსახური ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე“.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 ივნისის №--- შემოწმების აქტით დადგინდა, რომ ა-- ა---ის მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №0--- მითითებით გათვალისწინებული პირობები არ შესრულდა.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დებულებებთან.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების პირველი მუხლის თანახმად, ეს დადგენილება მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებულ საჯარო სამართლებრივ ურთიერთობათა რეგულირების სფეროს. კერძოდ, არეგულირებს საქართველოს ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის, სანებართვო პირობების შესრულებისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების პროცესს.

დასახელებული დადგენილების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მიზნებისათვის შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის იყოფა 5 კლასად: ა) I კლასი – შენობა-ნაგებობები, რომლებიც მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს; ბ) II კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის დაბალი ფაქტორით; გ) III კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის საშუალო ფაქტორით; დ) IV კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მაღალი ფაქტორით; ე) V კლასი – შენობა-ნაგებობები რისკის მომეტებული ფაქტორით (განსაკუთრებული მნიშვნელობის შენობა-ნაგებობები).

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მოსარჩელების მიერ განხორციელებული 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობა და ჭიშკრის მოწყობა თავისი მახასიათებლით განეკუთვნება I კლასის შენობა-ნაგებობას, სადაც მშენებლობა დასაშვებია ნებართვის გარეშე, მაგრამ ამავე დადგენილებას გააჩნია დათქმა იმის შესახებ, რომ I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა, რაც ნიშნავს იმას, რომ I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის მწარმოებელმა პირმა უნდა მიმართოს ნებართვის გამცემ ორგანოს და აცნობოს მის მიერ განზრახული I კლასს დაქვემდებარებული შენობა-ნაგებობის მშენებლობის შესახებ, რომელზეც ნებართვის გამცემი ორგანო გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს დაგეგმილი მშენებლობის ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის თაობაზე.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლის 10-ე ნაწილის თანახმად, ამ დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება განიხილება, როგორც უნებართვო მშენებლობა.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 2015 წლის 10 აგვისტოს მიღებულ იქნა №--- - დადგენილება „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე“, რომლის თანახმადაც ა--- ა---

ი, ს-- ს----ი და ვ---- მ----ი დაჯარიმდნენ 8 000 (რვა ათასი) ლარით, ქ. თბილისში, სოფელ ფ----ში, №---- საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის უნებართვოდ მშენებლობის ფაქტზე. საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 07/04/2015 წლის №--- გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის №--- გადაწყვეტილება 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ და სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 1 აპრილის №--- გადაწყვეტილება 2014 წლის 28 ოქტომბრის №---- გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო საჩივრის ავტორების ა-- ა----ის, ს---- ს-----ის და ვ-- მ-----ის მოთხოვნას წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №---- დადგენილების ბათილად ცნობა.

სააპელაციო საჩივრის განხილვისას დადგენილ იქნა, რომ აპელანტების მიერ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები, რომელიც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მიერ სამართალდარღვევად არის შეფასებული, განხორციელდა იმ დროის მონაკვეთში, როდესაც აპელანტებს თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ მინიჭებული ჰქონდა პირველი კლასის სამშენებლო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა და განხორციელებული სამუშაოები მთლიანად შესაბამისობაში იყო არქიტექტურის სამსახურის მიერ შეთანხმებულ ფოტომონტაჟთან. ე.ი. მშენებლობის პროცესში იგი უკანონო მშენებლობას არ წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ აპელანტებმა მოქმედი სამართლებრივი ნორმების დაცვით ორჯერ აცნობეს სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს სოფელ ფ----ში მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი ----) 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესახებ და სხვა დოკუმენტებთან ერთად წარადგინეს არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი და შესაბამისი საპროექტო ფოტომონტაჟი. სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 28.10.2014 წლის №--- გადაწყვეტილებით მათი მოთხოვნა ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით დაკმაყოფილდა, მშენებლობის მოთხოვნა მიეკუთვნა პირველი კლასის კატეგორიას და დადასტურდა 4 მეტრამდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობა.

მეორედ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01/04/2015 წლის №---- გადაწყვეტილებით, ვ--- მ-----ის (პ/ნ ----) მიერ წარდგენილი ფოტომონტაჟის (არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) საფუძველზე, ქ. თბილისში, სექტორი-ფ---, სოფელ ფ----ში, მოქალაქეების ს--- ს---ის, ვ--- მ-----ის და ა-- ა---

ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.№---), ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ 2014 წლის 28 ოქტომბერს გაცემულ №--- გადაწყვეტილებაში შევიდა ცვლილება (კორექტირება). განმცხადებლების მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით ამჯერადაც მიაკუთვნეს პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროებოდა მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც შესაბამისი სამსახური გასცემს მხოლოდ წერილობით თანხმობას.

ამრიგად, სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოქალაქეების ს---ს---ს, ვ--- მ---ის და ა-- ა-- -ის მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები ორჯერ იყო ადმინისტრაციული ორგანოს შესწავლისა და შეფასების საგანი და ორივეჯერ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით, მათი მოთხოვნა ქალაქმშენებლობით დოკუმენტაციასთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად, 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობის მშენებლობის და ჭიშკრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების შესახებ დაკმაყოფილდა.

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #--- სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ჭიშკრის, კარბების და ღობის განხორციელებული მშენებლობის ჯამური საბაზრო ღირებულება საორიენტაციოდ შეადგენს 7100 ლარს.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა, რომლითაც ეს ორგანო რთავდა ნებას აპელანტებს ღობისა და ჭიშკრის მშენებლობა შეესრულებინათ წარმოდგენილი პარამეტრებისა და ფოტომონტაჟის მიხედვით, საკმარის საფუძველს წარმოადგენდა მათთვის კანონიერი ნდობის წარმოშობისათვის. დაინტერესებული მხარეები ენდობოდნენ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის სტაბილურობას და გამოიყენეს კიდევ ეს ნდობა-გასწიეს მნიშვნელოვანი მატერიალური დანახარჯები და დაასრულეს ეს მშენებლობა. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ ნებართვის მიღებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ აქტის არამართლობიერად მიჩნევა არ შედიოდა აპელანტების პასუხისმგებლობის სფეროში. პალატა აღნიშნავს რომ, კანონიერი ნდობის პრინციპი გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან, რომელიც კრძალავს ისეთ მმართველობით საქმიანობას, რომელიც თავის მხრივ ფორმალურად კანონიერია, მაგრამ იწვევს მისი ადრესატის კანონიერი ნდობის გაცრუებას.

ამასთანავე, სააპელაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გაუქმება არ მომხდარა ადმინისტრაციული საჩივრის ან ახლად გამოვლენილი/ახლადადმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, რომელთა გათვალისწინებაც არქიტექტურის სამსახურს ადმინისტრაციულ პროცესის წარმოებისას არ შეეძლო. სახეზე არ არის ასევე კანონიერი ნდობის გამომრიცხავი გარემოებები. ბათილობა განხორციელდა თავად ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით, რომელსაც ეკისრებოდა ვალდებულება კანონიერების სრული დაცვით მიეღო გადაწყვეტილება და საკმარისი დრო გააჩნდა ასეთის არ არსებობის შემთხვევაში

მშენებლობის დასრულებამდე აღმოეფხვრა დაშვებული ხარვეზი.

სააკელაციო პალატას მიაჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული აღმჭურველი აქტის შემოწმება/გაუქმება არ განხორციელებულა გონივრულ ვადებში. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 21.05. 2015 წლის N--- მითითებაში მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი მითითებულია, როგორც დასრულებული. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ქალაქ თბილისის მერიის მიერ ბათილად ცნობილი არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 28 ოქტომბრის №--- და 2015 წლის 1 აპრილის №--- გადაწყვეტილებები ბათილობის მომენტისათვის წარმოადგენდა აღსრულებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. შესაბამისად, აპელანტებს-ა-- ა---ს, ვ--მ---ს და ს--- ს----ს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ ისეთი ქმედების განხორციელების გამო, რომელიც მისი განხორციელების მომენტისათვის არ წარმოადგენდა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ კანონიერი ნდობის დაცვის გარანტია უფრო მაღალია უკვე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში, (განსახილველ შემთხვევაში კი ადგილი აქვს უკვე გამოცემული და აღსრულებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილობას), ვიდრე დაპირების მიმართ.

პალატა აღნიშნავს რომ, ა-- ა---ის, ვ-- მ---ისა და ს-- ს--ის მხრიდან ადგილი არ ქონია არქიტექტურის სამსახურისადამი ნებართვის მისაღებად არასწორი ინფორმაციის წარდგენას და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოებას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 21.05. 2015 წლის N--- მითითების შესასრულებლად ვ--- მ----მა მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურს და მოითხოვა 4მ-დე სიმაღლის მქონე ღობის კორექტირება. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის 09.06. 2015 წლის გადაწყვეტილებით, ვ. მ---ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ „სსიპ მერიის არქიტექტურის სამსახური ვალდებულია იზრუნოს ქალაქის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რათა სახელმწიფომ და საზოგადოებამ არ მიიღოს შენობა-ნაგებობათა და საერთო ჯამში ქალაქის დამახინჯებული იერსახე“.

სააკელაციო პალატა ითვალისწინებს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის შესახებ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60<sup>1</sup> მუხლის მეოთხე ნაწილის ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის

კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

ამრიგად, ერთის მხრივ, „კანონიერების პრინციპი“ ითვალისწინებს კანონიერების აღდგენის მიზნით უკანონო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებას, მეორეს მხრივ, ამ მნიშვნელოვან პრინციპს უპირისპირდება კანონმდებლის მიერ აღიარებული „ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობის პრინციპი“. სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორივე პრინციპი კონსტიტუციური რანგისაა და გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმიდან. ამდენად, შეუძლებელია ასეთ შემთხვევაში ცალსახად პრობლემის გადაწყვეტა. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ამოცანაა კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისას მოახდინოს ამ ორი პრინციპის უპირისპირება და თანაზომიერი გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო სასამართლო, ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობისას, მიუთითებს პროპორციულობის პრინციპის დაცვაზე, რომლის თანახმადაც, სუბიექტური უფლებების შეზღუდვისას ხელისუფლების ორგანოებს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არ შეუძლიათ მოქალაქეებისათვის იმგვარი ვალდებულებების დაკისრება, რომლებიც აღემატებიან საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობის დადგენილ ფარგლებს და როდესაც დაკისრებული ვალდებულებები აშკარად არაპროპორციულია მიზნებისადმი, გამოყენებული ზომა ანუღირებული უნდა იქნას.

სააპელაციო პალატა ითვალისწინებს, რომ პროპორციულობის კონსტიტუციური პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც თავისი შინაარსით გულისხმობს წესებს, აკრძალვებს, რომლებიც მიმართულია უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოებისადმი. პროპორციულობის პრინციპის დაცვის კონტროლი ეკისრებათ სასამართლოებს, რომლებიც გამოდიან საჯარო და კერძო ინტერესების უპირისპირებულობის შემფასებლის როლში. პროპორციულობის პრინციპი სასამართლოებს ანიჭებს მიხედულების ფართო არეალს, რამდენადაც უფლებამოსილებას ანიჭებს მათ, როგორც ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოს, შეაფასოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შერჩეული ზომა რამდენად ადეკვატურია მიზნის მისაღწევად.

საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში აპელანტების ნდობა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებაზე უფრო მეტად მნიშვნელოვნად უნდა შეფასდეს, ვიდრე ის ინტერესი, რომლის დაცვასაც ცდილობს ადმინისტრაციული ორგანო.

პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომ აპელანტებმა მშენებლობა განახორციელეს და დაასრულეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, მშენებლობის პროცესში მათი ქმედება არ წარმოადგენდა უნებართვოს/უკანონოს, ხოლო გაუქმების პერიოდში გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტები იყო აღსრულებული. (იხ.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ 21.05. 2015 წლის N---- მითითება. მშენებლობის ეტაპი მითითებულია როგორც დასრულებული). სააპელაციო პალატა ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო მშენებლობაზე გაცემული თანხმობის გაუქმება არ არღვევდა მესამე პირების უფლებებსა და ინტერესს და არქიტექტურის სამსახურში ამის თაობაზე ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი არ ყოფილა. საჯარო/საზოგადოებრივი და კერძო ინტერესების შედარებისათვის პალატას გასათვალისწინებელ გარემოებად მიაჩნია ისიც რომ, სადავო მშენებლობა (კერძოდ ღობისა და ჭიშკრის მშენებლობა) თავისი ადგილმდებარეობით არ მიეკუთვნება დასახლების ისტორიულ ან ცენტრალურ ნაწილს.

ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განსახილველ საქმეში სახეზეა მიზნისა და გამოყენებული საშუალებების აშკარა შეუსაბამობა და შესაბამისად, გამოყენებული ზომები ა--- ა----ის, ვ--- მ----სა და ს-- ს-- --ის 8.000 (რვაათასი) ლარით დაჯარიმებისა და ღობისა და ჭიშკრის დემონტაჟის მოთხოვნის შესახებ ანულირებული უნდა იქნას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა-- ა---ის, ს-- ს---ის და ვ-- მ---ის სააპელაციო საჩივარი საფუძვლიანია და მასში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, რაც წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

## 5. საპროცესო ხარჯები:

5.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან ა--- ა---ის, ვ--- მ---ის და ს--- ს---ის სააპელაციო საჩივარი და სარჩელი დაკმაყოფილდა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ა---ა---ის, ვ-- მ---ის და ს-- ს---ის სასარგებლოდ თანაბარწილად უნდა დაეკისროთ მათ მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 250 ლარის ოდენობით.

#### IV სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე მუხლებით

#### სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ა :

1. ა-- ა---ის, ვ--- მ----ის და ს--- ს---ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით საქმეზე მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ა--- ა-----ის, ვ--- მ----ის და ს---- ს----ის სარჩელი დაკმაყოფილდეს,
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 10 აგვისტოს №---- დადგენილება, ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2015 წლის 30 ოქტომბრის №--- ბრძანება.
5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს ა---- ა-----ის, ვ---- მ----ის და ს---- ს----ის სასარგებლოდ თანაბარწილად დაეკისროთ მათ მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 250 ლარის ოდენობით.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21(ოცდაერთი) დღის ვადაში.

თავმჯდომარე

გიორგი გოგიაშვილი



**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**  
**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

2 მარტი, 2017 წელი

ქ. თბილისი

**I შ ე ს ა ვ ა ლ ი**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

თავმჯდომარე- გიორგი გოგიაშვილი  
მოსამართლე - ნინო ქადაგიძე  
მანანა ჩოხელი

სხდომის მდივანი - ლიანა გელაშვილი

აპელანტი-გ---- ბ-----ი  
წარმომადგენელი - გ----- გ-----ი

მოწინააღმდეგე მხარე - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო  
წარმომადგენელი - მ---- კ-----ი

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დავალება.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება

**II ა დ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი**

**1. აპელანტის მოთხოვნა**

1.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

## 2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

### 2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილებით გ--- ბ----ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### 2.1. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2007 წლის 26 ივნისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ--- ბ----ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, ხუთი წლის ვადით. აღნიშნულ ხელშეკრულება დამტკიცებულია „ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს :

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტი ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ.

2007 წლის 26 ივნისის ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განისაზღვრა, რომ სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 5 წელს, რომელიც აითვლებოდა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან და რომელიც აღინიშნებოდა კონტრაქტის პირველ გვერდზე, რაც იმავდროულად ითვლებოდა კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღად. ხელშეკრულების 5.1.9. პუნქტის თანახმად, სამინისტრომ იკისრა ვალდებულება, რომ იგი სამხედრო მოსამსახურეს - გ-- ბ----ს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე დააკმაყოფილებდა საცხოვრებელი ბინით, არაუმეტეს 40 კვ.მ-სა, რომელიც მას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცემოდა ამ კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტით განსაზღვრული სამხედრო სამსახურის ვადის დასრულების შემდეგ.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს :

- 2007 წლის 6 ივნისის კონტრაქტი.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №--- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის G-1-ის კადრების ოფიცერი (შტაბი N8--), მაიორი გ--- გ---ს ძე ბ----ი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 2 ივლისის N----ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს :

-საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №--- ბრძანება.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 01 მარტის №--- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის ყოფილი G-1-ის კადრების ოფიცერი, მაიორი გ-- გ---ს ძე ბ---ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2012 წლის 30 იანვრიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის N--- ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის თანახმად.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს :

- საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 01 მარტის №--- ბრძანება.

გ--- ბ-----მა 2015 წლის 26 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობას და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 19.03.2007 წლის N135 ბრძანებით დამტკიცებული „ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დადებული კონტრაქტის საფუძველზე, საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა მოითხოვა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2015 წლის 15 სექტემბრის MOD ---- წერილით გ--- ბ---ს ეცნობა, რომ გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 07.09.2015 წლის N7--- წერილის თანახმად, მას გაფორმებული ჰქონდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის N1--- ბრძანებით დამტკიცებული 5 წლიანი კონტრაქტი 2007 წლის 26 ივნისს, რომელიც შეწყდა 2012 წლის 30 იანვარს გ--- ბ-----ის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს :

- გ--- ბ-----ის განცხადება;

-საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2015 წლის 02 სექტემბრის MOD ---- წერილი;

-საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2015 წლის 15 სექტემბრის MOD ---- წერილი.

2015 წლის 21 სექტემბერს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა გ--- ბ-----მა და 26.06.2007 წლის N---კონტრაქტის 5.1.9 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და მისთვის 40 კვ.მ. ფართობის მქონე ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა მოითხოვა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MOD ---- ბრძანებით გ---ბ---ს უარი ეთქვა 21.09.2015 წლის MOD--- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მტკიცებულებებს :

-საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MOD --- ბრძანება.

მოსარჩელემ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ვერ უზრუნველყო იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელსაც ის ამყარებდა თავის სასარჩელო მოთხოვნას.

## 2.2. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები.

სასამართლომ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული - საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MOD---- ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონშესაბამისობაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოცემული სარჩელის ფარგლებში.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

სასამართლომ განმარტა, რომ დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელე გ-- ბ----სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2007 წლის 26 ივნისს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №--- ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ თანახმად, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად ჯარების მომზადების დონის განსაზღვრა, სამხედრო კადრების მომზადება.

სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები, განისაზღვრება სახელმწიფო შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ვინაიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესაბამისად.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ-- ბ---ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამასთან, ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმებული არიან მის ყველა არსებით პირობაზე (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი).

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენას ხელშეკრულებაში მონაწილე პირებს შორის. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება დადებულად ითვლება თუ მხარეები, მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ერთის მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა, ხოლო მეორეს მხრივ გ-- ბ---ს შორის 2007 წლის 26 ივნისს დაიდო N--- ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა ორივე მხარის უფლება-მოვალეობები. კერძოდ, ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იღებდა ვალდებულებას, კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად ემსახურა სამინისტროს სამხედრო სამსახურში, ხოლო სამინისტრო - გადაეხადა სამხედრო მოსამსახურისათვის ანაზღაურება და უზრუნველყო იგი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით. ზემოაღნიშნული კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 5 წელს, რომელიც აითვლებოდა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან.

სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულების შინაარსს განსაზღვრავს ხელშეკრულებაში შემავალი პუნქტების ერთობლიობა. თავის მხრივ, ხელშეკრულებაში შემავალი პუნქტების შინაარსის განსაზღვრას პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება თავად ხელშეკრულების

განმარტების თვალსაზრისით, რამდენადაც მათზეა დამოკიდებული ხელშეკრულებით შეთანხმებული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობა, ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ფაქტის დადგენა და პასუხისმგებლობის შესაბამისი ზომების გამოყენების მართებულობის განსაზღვრა.

სასამართლომ მიუთითა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების 5.1.9 პუნქტის შინაარსზე, რომლის შესაბამისადაც გათვალისწინებული იქნა სამინისტროს ვალდებულება, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე დაეკმაყოფილებინა სამხედრო მოსამსახურე საცხოვრებელი ბინით, არაუმეტეს 40 კვ.მ. ფართისა, რომელიც მას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცემოდა კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტით განსაზღვრული ვადის დასრულების შემდეგ.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №---- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის G-1-ის კადრების ოფიცერი (შტაბი N---), მაიორი გ---- გ----ს ძე ბ-----ი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 32 ივლისის N--- ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში. ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 01 მარტის №--- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის ყოფილი G-1-ის კადრების ოფიცერი, მაიორი გ--- გ---ს ძე ბ---ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2012 წლის 30 იანვრიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის N--- ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის თანახმად. ამდენად, 2007 წლის 26 ივნისს, მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხუთწლიანი კონტრაქტი შეწყდა 2012 წლის 30 იანვარს, გ--- ბ-----ის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო. საქმის მასალებით დასტურდება ბრძანება, რომლითაც გ--- ბ-----ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, სადავოდ არ გამხდარა და შესულია კანონიერ ძალაში. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის პარლამენტთან ურთიერთობისა და სამართლებრივ საკითხთა დეპარტამენტის 2015 წლის 29 ოქტომბრის ოქმი N--, რომელიც შედგენილ იქნა გ-- ბ-----ის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას. სხდომაზე პროცესის მონაწილე პირის შეკითხვაზე გ--- ბ-----ის წარმომადგენელი გ--- გ-----ი ადასტურებს, რომ გ--- ბ-----ის დათხოვნის ბრძანება არ გასაჩივრებულა იმის გამო, რომ საშიში იყო დათხოვნის ბრძანების გასაჩივრება, მხოლოდ შვებულების თანხა გახდა მის მიერ სადავოდ, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან კონტრაქტის 5.1.9 პუნქტი ითვალისწინებდა გაფორმებიდან 4 წლის შემდეგ – 2011 წლის 26 ივნისისათვის საცხოვრებელი ბინის გადაცემას, თავდაცვის სამინისტროს უნდა შეესრულებინა ვალდებულება და 4 წლის შემდეგ გადაეცა საცხოვრებელი ფართი, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ განხორციელებულა და სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში გ--- ბ----ისათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, რაც დამატებით მიუთითებს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა, რომ 2007 წლის 26 ივნისის ხელშეკრულების 5.1.9. პუნქტის ანალიზიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარემ - საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების - სამხედრო მოსამსახურისთვის საცხოვრებელი ბინის გადაცემის ვალდებულების შესრულება დაყო ორ ეტაპად; პირველ ეტაპზე სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინა უნდა გადასცემოდა ფაქტობრივ მფლობელობაში სარგებლობის უფლებით, ხოლო მეორე ეტაპზე - საკუთრებაში, რაც თავის მხრივ უკავშირდება კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვას; უდავოა, რომ მოპასუხე მხარემ არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება პირისთვის საცხოვრებელი ბინის ფაქტობრივ მფლობელობასა და შესაბამისად, მართლზომიერ სარგებლობაში გადაცემის შესახებ (ასეთი რამე გ-- ბ----ის შემთხვევაში არ მომხდარა) მოპასუხის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების პირველი ეტაპის შეუსრულებლობის გამო; ამდენად მართალია გამოკვეთილია, რომ ნაკისრი ვალდებულების პირველი ეტაპი მოპასუხის მხრიდან არ შესრულებულა, მაგრამ საბოლოოდ საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემის საკითხი უკავშირდება კონტრაქტით გათვალისწინებული ხუთწლიანი სამხედრო სამსახურის დასრულებას, შესაბამისად, იმ ფაქტმა, რომ გ--- ბ----ის მიერ ხელშეკრულების ვადა ბოლომდე ვერ იქნა ამოწურული მისი სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლებისა და შესაბამისად, კონტრაქტის შეწყვეტის გამო, გავლენა იქონია დავის გადაწყვეტის შედეგზე, რადგან უდავოა, რომ გ-- ბ----ი ვერ მიიღებს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას ისე, როგორც ამას ადგილი ექნებოდა მისი მხრიდან სახელშეკრულებო ვადის სრულად გასვლის პირობებში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 60<sup>1</sup>-ე მუხლში ჩამოთვლილია ის საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით

დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება, ხოლო მოსარჩელის მიერ სასამართლოში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102.3 მუხლის შესაბამისად ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლითაც დადასტურებოდა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MOD----- ბრძანების გამოცემის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი ნორმების დარღვევას.

### 3. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები

აპელანტის მითითებით, მოსარჩელე მხარემ სასამართლოს საქართველოს სსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, სრულად წარადგინა მტკიცებულებები, რომელიც უზრუნველყოფდა სამართლიან გადაწყვეტილებას და სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში (გვ.მე-8, მე-3 აბზაცი) სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №--- ბრძანების საფუძველზე თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №---- ბრძანებით გ--- ბ----ი გადაყვანილ იქნა კადრების განკარგულებაში და 2012 წლის 01 მარტის №--- ბრძანებით დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან. მოსარჩელე ასაჩივრებდა 2007 წლის 26 ივნისის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობას და მოხსენებულ ბრძანებებს არავითარი კავშირი არ ჰქონდა სასამართლო მოთხოვნასთან.

სასამართლოს უნდა დაედგინა გ. ბ----ის კადრების განკარგულებაში გაყვანისა და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საფუძვლიანობა. ასევე ის გარემოება, თავდაცვის სამინისტრომ რატომ არ შეასრულა 2007 წლის 26 ივნისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება 2011 წლის 26 ივნისის მდგომარეობით.

საქმის განხილვისას სასამართლოს უნდა შეეფასებინა თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583, 30 სექტემბრის №2628 და 2012 წლის 01 მარტის №488 კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისობა საქართველოს საკანონმდებლო აქტებთან და შეეძლო გაეთვალისწინებინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატების შეფასებები (საქმე №ბს-91-98(კ13) 2013 წლის 25 ივნისი), (საქმე №38/951-13, 26 სექტემბერი, 2013 წელი) მოხსენებული ბრძანების მიმართ, რომელიც გარკვევითაა მითითებული აღნიშნული განჩინების და გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში.

უზენაესი სასამართლოს განჩინება: ა) გვ. 15, I აბზაცი- საქმის მასალებით ირკვევა, რომ გ. ბ---ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილია თავდაცვის სამინისტროს ინიციატივით, ეს კი მიანიშნებს, რომ თავდაცვის სამინისტროს მოსარჩელის ვადამდე დასათხოვნად სამხედრო სამსახურიდან უნდა ჰქონოდა შესაბამისი იურიდიულ-სამართლებრივი საფუძველი. ბ) გვ. 15, მე-5 აბზაცი-საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმატიული აქტების იერარქის დაცვა განაპირობებს სამართლიან და კანონიერ სამართალშეფასებას. №583 ბრძანებით კი დარღვეულია ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. გ) გვ. 16-17, მე-4 აბზაცი - თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანება გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის უგულებელყოფით, რადგანაც მოხსენებული აქტის გამოცემის საფუძველი პრაქტიკულად არ არსებობდა. დ) გვ. 18, მე-3 აბზაცი - საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მინისტრის №583 ბრძანებით იზღუდება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონებით და საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული „სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დებულების მე-9 თავით დადგენილი უფლებრივი სივრცე. ე) გვ. 19, I აბზაცი - სასამართლომ საქმის განხილვისას უნდა იხელმძღვანელოს „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ კანონის და საქართველოს პრეზიდენტის №609 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების სტანდარტების შესაბამისად.

2007 წლის 26 ივნისის №--- ხელშეკრულების დადების შემდეგ საქართველოს სკ-ის 327-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება შევიდა კანონიერ ძალაში და თავდაცვის სამინისტროს გ. ბ---ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის უფლებამოსილება ჰქონდა მხოლოდ მოხსენებული კონტრაქტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა (თვითნებურად შეიარაღებული ძალების დატოვება) და მე-9 თავში მითითებული შემთხვევების დადგომისას. სასამართლოს საქმის განხილვისას კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად უნდა დაედგინა 2007 წლის 26 ივნისის ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-9 მუხლით დამდგარი შემთხვევების არსებობა გ. ბ---ისათვის კონტრაქტის ვადამდე შესაწყვეტად და თავდაცვის სამინისტროს მიერ 2011 წლის 26 ივნისისათვის კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი, რაც საფუძველად დაედებოდა სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

სასამართლო ფაქტობრივად ადგენს მოთხოვნის კანონიერებას, მაგრამ უსაფუძვლოდ ამართლებს სამინისტროს მიერ კონტრაქტის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის შეუსრულებლობას 2011 წლის 26 ივნისის მდგომარეობით, რადგანაც შეუძლებელი იყო სამინისტროს ამ ეტაპისთვის სცოდნოდა კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე გ. ბ---ის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა და სწორედამის გამო 2011 წლის 26 ივნისს არ გადასცა ბინა მოსარჩელეს, ასევე საქართველოს სკ-ის 396-ე მუხლი თავდაცვის სამინისტროს არ ანთავისუფლებს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება შეესრულებინა წინასწარ.

სასამართლომ მართალია გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა მაგრამ არასწორად განმარტა იგი: საქართველოს სკ-ის 327-ე მუხლის I ნაწილის თანახმად ხელშეკრულება,

დადებულად ითვლება მხარეთა ყველა პირობაზე შეთანხმების შემდეგ და მხარეთა შორის 2011 წლის 26 ივნისის კონტრაქტის დადების შემდეგ თავდაცვის სამინისტროს უფლებამოსილება არ ჰქონდა გ. ბ---ისთვის ვადამდე შეეწყვიტა კონტრაქტი და ვადამდე დაეთხოვა სამხედრო სამსახურიდან, თუ იგი თვითნებურად არ დატოვებდა შეიარაღებულ ძალებს (მუხლი 7, პუნქტი მე-3) ან არ დადგებოდა კონტრაქტის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევები. სასამართლომ მოხსენებული მუხლები საერთოდ არ განიხილა და არ დაადგინა, რა იყო საფუძველი მოსარჩელის სამხედრო სამსახურიდან ვადამდე დასათხოვნად.

სასამართლოს განსახილველ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა სკ-ის 361-ე და 369-ე მუხლებით, დაეკმაყოფილებინა სასარჩელო მოთხოვნა და დაევალებინა თავდაცვის სამინისტროსთვის ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების პირველი ეტაპის შესრულებასთან დაკავშირებით გ. ბ-----ისათვის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილება საკუთრებაში გადაცემის გარეშე. ამის ნაცვლად სასამართლო შემოიფარგლა აბსტრაქტული ჰიპოთეზური დასკვნებით, რომელსაც არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ აქვს სასარჩელო მოთხოვნასთან.

საქართველოს სკ-ის 316-ე, 317-ე, 327-ე, 341-ე, 361-ე, და 369-ე მუხლების მოთხოვნიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებული იყო დაედგინა კონტრაქტის პირობების დარღვევის რა საფუძველი ჰქონდა სამინისტროს გ. ბ----ის სამხედრო სამსახურიდან დასათხოვნად და ასევე გაერკვია, რატომ არ შეასრულა თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება გ. ბ----ის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების შესახებ. სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა მოსარჩელის მიერ კონტრაქტის მე-3 მუხლით დადგენილი 5 წლიანი ვადის შეუსრულებლობა და ამის გამო თავდაცვის სამინისტრომ არ შეასრულა კონტრაქტის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი ვალდებულება. თავდაცვის სამინისტროს გ--- ბ-----ისათვის საცხოვრებელი ბინა უნდა გადაეცა 2011 წლის 26 ივნისისათვის და მისთვის ცნობილი არ იქნებოდა კონტრაქტის 3.1. მუხლის შეუსრულებლობა.

### III სამოტივაციო ნაწილი:

#### 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს

393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სააპელაციო პალატა მიიჩნევს, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს;

#### 4.1. ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

2007 წლის 26 ივნისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ-- ბ----ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, ხუთი წლის ვადით. აღნიშნულ ხელშეკრულება დამტკიცებულია „ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით.

2007 წლის 26 ივნისის ხელშეკრულების 3.1. პუნქტით განისაზღვრა, რომ სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 5 წელს, რომელიც აითვლებოდა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან და რომელიც აღინიშნებოდა კონტრაქტის პირველ გვერდზე, რაც იმავდროულად ითვლებოდა კონტრაქტის ძალაში შესვლის თარიღად. ხელშეკრულების 5.1.9. პუნქტის თანახმად, სამინისტრომ იკისრა ვალდებულება, რომ იგი სამხედრო მოსამსახურეს - გ--- ბ-----ს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე დააკმაყოფილებდა საცხოვრებელი ბინით, არაუმეტეს 40 კვ.მ-სა, რომელიც მას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცემოდა ამ კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტით განსაზღვრული სამხედრო სამსახურის ვადის დასრულების შემდეგ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №--- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის G-1-ის კადრების ოფიცერი (შტაბი N----), მაიორი გ--- გ---ს ძე ბ-----ი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 32 ივლისის N583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 01 მარტის №-- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის ყოფილი G-1-ის კადრების ოფიცერი, მაიორი გ--- გ---ს ძე ბ-----ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2012 წლის 30 იანვრიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის N--- ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13

მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის თანახმად.

გ--- ბ----მა 2015 წლის 26 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობას და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 19.03.2007 წლის N--- ბრძანებით დამტკიცებული „ოფიცრის სამხედრო წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ დადებული კონტრაქტის საფუძველზე, საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფა მოითხოვა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოჯისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის 2015 წლის 15 სექტემბრის MOD ---- წერილით გ-- ბ---ს ეცნობა, რომ გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 07.09.2015 წლის N-- - წერილის თანახმად, მას გაფორმებული ჰქონდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის N--- ბრძანებით დამტკიცებული 5 წლიანი კონტრაქტი 2007 წლის 26 ივნისს, რომელიც შეწყდა 2012 წლის 30 იანვარს გ-- ბ---ის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MOD 1 -- ბრძანებით გ-- ბ--ს უარი ეთქვა 21.09.2015 წლის MOD-- ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას რომ, გასაჩივრებული - საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MOD-- ბრძანება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონშესაბამისობაც სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოცემული სარჩელის ფარგლებში.

დამატებით, პალატა აღნიშნავს რომ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციული აქტი მოქცეული უნდა იყოს მკაცრად რეგლამენტირებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში, მიღებული უნდა იყოს ზაკ-ის პრინციპების დაცვით და პასუხობდეს მთავარ მოთხოვნას, რა იქცა აქტის მიღების ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველად. ფაქტობრივი გარემოებები განაპირობებენ ნებისმიერი ქმედების იურიდიულ კვალიფიკაციას, რამდენადაც სწორედ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი და მათი შეფასება ხდის შესაძლებელს შემოწმდეს დამდგარი იურიდიული შედეგი და გამოყენებული ნორმების შესაბამისობა.

სააპელაციო პალატა მიუთითებს ასევე კანონიერების პრინციპის დაცვაზე და აღნიშნავს რომ, კანონიერების პრინციპი, ერთის მხრივ, მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონთან შესაბამისობას, მეორეს მხრივ, ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს პატივი სცეს და დაიცვას ნორმები, მათ შორის მის მიერ მიღებული

ნორმებიც. კანონიერების პრინციპში "კანონი" გაგებულ უნდა იქნას ძალიან ფართოდ, როგორც "სამართლის" სინონიმი. კანონიერება გამოხატავს მოქმედ სამართალთან შესაბამისობას და წარმოადგენს იურიდიული მართლზომიერების სინონიმს. კანონიერების პრინციპი ადმინისტრაციასთან მიმართებაში ადგენს ვალდებულებას, რომლის თანახმადაც ადმინისტრაცია ვალდებულია იმოქმედოს სამართლის შესაბამისად.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენების თანამედროვე პრაქტიკა გამოყოფს "კანონიერების" ცნების ოთხ ძირითად მნიშვნელობას: "კანონიერების" ცნებაზე მითითება, გულისხმობს სამართლებრივი რეგულირების არსებობას (ასეთის არარსებობის საწინააღმდეგოდ). სასამართლო მიმართავს გამოსაყენებელი დებულების ფართო ინტერპრეტაციას და ამატებს საჯარო ხელისუფლების ვალდებულებას მიიღოს გონივრული სამართლებრივი ნორმები ამ ნორმათა ეფექტურობისათვის. ყოველი უფლების აღიარებას უნდა გააჩნდეს ნაციონალურ კანონმდებლობაში მისი რეალიზაციისათვის "საკმაოდ ეფექტური სამართალგამოყენებითი მექანიზმები";

მეორე, "კანონსა" და "კანონიერებაზე" მითითება შეიძლება მოითხოვდეს, რომ, ამა თუ იმ სფეროში სამართლებრივი რეგულირებას უნდა ჰქონდეს გარკვეული ხარისხობრივი მახასიათებლები; სახელმწიფო ორგანოთა ქმედება კანონს უნდა ეფუძნებოდეს, ამ შემთხვევაში "კანონს" უნდა მიეცეს არა ტექნიკური განმარტება, არამედ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს ინტერპრეტაციით, საზოგადოებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა, უნდა იყოს ხელმისაწვდომი, საკმაოდ ზუსტი და გასაგები, რათა მისი გამოყენება გავხადოთ გამოსაცნობი და განჭვრეტადი. საქმეში "სანდი თაიმსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" ნათქვამია რომ "სამართლებრივი ბაზა უნდა იყოს ხელმისაწვდომი, იმდენად რომ მოქალაქემ შესძლოს ადეკვატური წარმოდგენის მიღება იმ წესებზე, რომლებიც ამოქმედდება მის სიტუაციაში; ამას გარდა, სამართლებრივი ნორმა მხოლოდ მაშინ შეესაბამება "კანონის" კრიტერიუმებს, როდესაც იგი ზუსტად არის ფორმულირებული, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს შეუთანხმოთ მას ჩვენი ქმედება: მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა - თუ ეს საჭიროა პროფესიული კონსულტაციის დახმარებით - საკმაო ალბათობით განჭვრეტოს კონკრეტული საქმის გარემოებებში თავისი მოქმედებათა შედეგები". აღიარებს რა პრაქტიკაში სამართლებრივი ნორმების აბსოლუტური სიზუსტით გამოყენების შეუძლებლობას, სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს სახელმწიფო ორგანოთა თვითნებობისაგან დაცვის ადეკვატური მექანიზმების შექმნის აუცილებლობას. ასეთია სახელმწიფო ორგანოთა გადაწყვეტილებების სრულფასოვანი სასამართლო კონტროლი, ასევე ამ ორგანოთა ვალდებულება განმარტონ თავისი მოქმედების მიზეზები. ამ მექანიზმების გაუთვალისწინებლობა, სახელმწიფო ორგანოთა ფართო უფლებამოსილება, რომელიც არანაირ ფარგლებსა და შეზღუდვებს არ შეიცავს, არ არის რეგლამენტირებული სახელისუფლებო უფლებამოსილებათა განხორციელების პირობები, ყოველივე ეს წარმოადგენს კონვენციით გათვალისწინებული "კანონიერების" კრიტერიუმის დარღვევას. (Malone v. The United Kingdom, Judgment of 2 August 1984, series A no.82) სამართლებრივი სახელმწიფოს დოქტრინა გულისხმობს სახელმწიფო ორგანოთა თვითნებობის შეზღუდვას, ვაიძულოთ სახელმწიფო იფუნქციონიროს გარკვეული წესების შესაბამისად, რომელიც გამოხატული იქნება კონსტიტუციის, კანონებისა და სხვა

სამართლებრივი აქტების ფორმებში.

სახელმწიფო ორგანოთა მოქმედების "კანონიერება" შეიძლება განმარტებულ იქნას სტრასბურგის სასამართლოს მიერ, როგორც სათანადოდ უფლებამოსილი სუბიექტის, კომპეტენტური პირის ან ორგანოს სახელით მოქმედება; ცნების ეს მიმართულება ეხება არა სამართლებრივი ნორმების შინაარსს, არამედ სახელმწიფო ორგანოთა მოქმედებების შემოწმებას ფაქტებით, მათი ეროვნული სამართლის წესებთან და პროცედურებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. ამ კუთხით შესაძლებელია ვისაუბროთ "კანონიერებაზე", როგორც საჯარო ორგანოების ვალდებულებაზე დაიცვან კომპეტენციის ფარგლები, ე.ი. იმოქმედონ სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს ან პირის სახით, ასევე არა მხოლოდ კომპეტენციის ფარგლებში, ამასთანავე ნაციონალური კანონმდებლობის ყველა სხვა წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ცნების ამ მიმართულებას გააჩნია ორი ასპექტი: სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს კომპეტენტური (უფლებამოსილი) ორგანოს სახით (სუბიექტის კანონიერება) და მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში (საგნობრივი კომპეტენცია);

"კანონისა" და ეროვნული სამართლის მოხსენიება შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ შესაბამისი ორგანოს კომპეტენციის წესების დაცვას, ამასთანავე ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურულ და სხვა კრიტერიუმებთან შესაბამისობასაც; ანუ ადმინისტრაციული ორგანო უნდა მოქმედებდეს კანონიერად, ახორციელებდეს კომპეტენციით განსაზღვრულ ფუნქციას, ასევე "კანონით განსაზღვრული თანმიმდევრობით" ე.წ. ფორმალური კანონიერების დაცვითაც. იგი მოიცავს იერარქიით განსაზღვრული თანმიმდევრობის დაცვასა და კანონზე დაფუძნებული ქმედების განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება.

განსახილველ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს მოსარჩელე გ--- ბ---სა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის 2007 წლის 26 ივნისს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 5 აპრილის №119 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ თანახმად, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა საქართველოს შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის პროგრამიდან გამომდინარე ამოცანების შესასრულებლად ჯარების მომზადების დონის განსაზღვრა, სამხედრო კადრების მომზადება.

სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და

მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას, ამასთან, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურის სამართლებრივი სტატუსის თავისებურებები, განისაზღვრება სახელმწიფო შეიარაღებული დაცვისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულებით, რაც დაკავშირებულია დასახული ამოცანების ყოველგვარ პირობებში შესრულებასთან, მაშინაც კი, თუ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

სააპელაციო პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ვინაიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამხედრო სამსახური წარმოადგენს სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებულ სახეს და მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფას.

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 251-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესაბამისად.

სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

მოცემულ შემთხვევაში, დასახელებული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გ-- ბ---ს შორის გაფორმებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას. ამასთან, ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმებული არიან მის ყველა არსებით პირობაზე (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი).

სააპელაციო პალატა დამატებით აღნიშნავს რომ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. საჯარო სამართლის სუბიექტებს გააჩნიათ კანონით ზუსტად განსაზღვრული სახელისუფლებო კომპეტენცია. ამ კომპეტენციის ფარგლებში საქმიანობის ფორმის განსაზღვრის საკითხი მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციას. საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ დადებული ხელშეკრულება ატარებს ადმინისტრაციულ ხასიათს, როდესაც იგი მიზნად ისახავს ხელშეკრულების მეორე მხარისაგან საჯარო სამსახურის განხორციელებას. კერძო ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ ხელშეკრულების დადებისას მხარეები არ ფლობენ პრაქტიკულად შეუზღუდავ სახელშეკრულებო უფლებაუნარიანობას. ადმინისტრაციული ორგანო ხელშეკრულების დადებისას რჩება სპეციალური უფლებამოსილების ფარგლებში.

პალატა აღნიშნავს რომ, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების პრინციპს ემატება ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობაში მონაწილეთა ორმხრივი ნდობის, თანაზომიერების წესისა და უფლებამოსილებათა კეთილსინდისიერად აღსრულების პრინციპი.

პალატას მიაჩნია რომ, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული ხელშეკრულებების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას „პროცესუალური“ და „შინაარსობრივი“ სამართლიანობის მოთხოვნები. პალატა აღნიშნავს რომ ხელშეკრულება შესაძლოა ერთ-ერთი მხარის ინიციატივით გაბათილდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეორე მხარე ინარჩუნებს მის მიმართ დაინტერესებას, ეს შეიძლება შეეხოს ხელშეკრულებებს რომლებიც ეწინააღმდეგებიან საჯარო წესრიგს ან არღვევენ კანონის ნორმებს, ასეთ შემთხვევებში მიუხედავად დაინტერესებული მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა კონტრაქტის შეწყვეტა მაინც შესაძლოა მოხდეს. სხვა შემთხვევაში „ხელშეკრულების იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მასში შეთანხმებული პირობები სავალდებულოა პარტნიორებისათვის, რამდენადაც თვითოეულმა მათგანმა ნებაყოფლობით დაუდასტურა ერთმანეთს რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები უნდა იქნას მიჩნეული მართლზომიერად“ (Flume, Das Rechtsgeschäft, 1975,7).

ხელშეკრულების პრინციპული პოსტულატია რომ მხარეები შეთანხმდნენ ორმხრივი ვალდებულებებისა და სახელშეკრულებო პირობების დარღვევის რეგულირებაზე. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1134 მუხლში მოცემული ცნობილი ფორმულა აღიარებულ იქნა ყველა ევროპული სამოქალაქო კოდექსების მიერ: მართლზომიერად დადებული ხელშეკრულებები ხდება კანონი, მათი დამდები მხარეების მიმართ (*es conventions légalement formées tiennent lieu de loi à ceux qui les ont faites*), ხოლო შესრულება ამგვარი ხელშეკრულებებისა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლოების მიერ.

განსახილველ დავაში სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის დადებული

ხელშეკრულების 5.1.9 პუნქტის შინაარსზე, რომლის შესაბამისადაც გათვალისწინებული იქნა სამინისტროს ვალდებულება, კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე დაეკმაყოფილებინა სამხედრო მოსამსახურე საცხოვრებელი ბინით, არაუმეტეს 40 კვ.მ. ფართისა, რომელიც მას უსასყიდლოდ, საკუთრების უფლებით გადაეცემოდა კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტით განსაზღვრული ვადის დასრულების შემდეგ.

საქმეში არსებული მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 30 სექტემბრის №--- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის G-1-ის კადრების ოფიცერი (შტაბი N8---), მაიორი გ-- გ--ს ძე ბ---ი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 32 ივლისის N583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში. ამასთან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 01 მარტის №--- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის ყოფილი G-1-ის კადრების ოფიცერი, მაიორი გ-- გ--ს ძე ბ---ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2012 წლის 30 იანვრიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის N583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის თანახმად. ამდენად, 2007 წლის 26 ივნისს, მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხუთწლიანი კონტრაქტი შეწყდა 2012 წლის 30 იანვარს, გ--- ბ---ის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის გამო.

განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება მიაქცია მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან კონტრაქტის 5.1.9 პუნქტი ითვალისწინებდა გაფორმებიდან 4 წლის შემდეგ – 2011 წლის 26 ივნისისათვის საცხოვრებელი ბინის გადაცემას, თავდაცვის სამინისტროს უნდა შეესრულებინა ვალდებულება და 4 წლის შემდეგ გადაეცა საცხოვრებელი ფართი, რაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან არ განხორციელებულა და სამხედრო სამსახურში ყოფნის პერიოდში გ-- ბ---სათვის საცხოვრებელი ფართის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილება არ მიღებულა, რაც დამატებით მიუთითებს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პირის საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველზე. სასამართლომ მიუთითა, რომ 2007 წლის 26 ივნისის ხელშეკრულების 5.1.9. პუნქტის ანალიზიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მხარემ - საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების - სამხედრო მოსამსახურისთვის საცხოვრებელი ბინის გადაცემის ვალდებულების შესრულება დაყო ორ ეტაპად; პირველ ეტაპზე სამხედრო მოსამსახურეს საცხოვრებელი ბინა უნდა

გადასცემოდა ფაქტობრივ მფლობელობაში სარგებლობის უფლებით, ხოლო მეორე ეტაპზე - საკუთრებაში; ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი არცერთი ეს პირობა შესრულებული არ ყოფილა.

სააპელაციო პალატას საქმის გადაწყვეტისათვის არსებით გარემოებად მიაჩნია ის რომ, გიგა ბარათაშვილის მხრიდან ადგილი არ ჰქონია კონტრაქტით ნაკისრ ან შესაბამისი საჯარისო წესდებით დადგენილ ვალდებულებების დარღვევას. მასთან დადებული ხუთწლიანი კონტრაქტი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის გასვლამდე რამდენიმე თვით ადრე, შეწყვეტილ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის N583 ბრძნებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის საფუძვლით (მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა სამსახურებრივი გადაადგილებისას).

ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის პირობა გახდა თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რითაც ადმინისტრაციულ პალატას მიაჩნია რომ, განსახილველ დავაში ადგილი აქვს ადმინისტრაციულ ხელშეკრულების მხარეებს შორის სახელშეკრულებო რისკების არასამართლიან გადანაწილებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულების სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულების შინაარსი, რაც თავისთავად გულისხმობს ნების გამოვლენას ხელშეკრულებაში მონაწილე პირებს შორის. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება დადებულად ითვლება თუ მხარეები, მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ ერთის მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა, ხოლო მეორეს მხრივ გ-- ბ---ს შორის 2007 წლის 26 ივნისს დაიდო N---

ხელშეკრულება საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, რომლითაც განისაზღვრა ორივე მხარის უფლება- მოვალეობები. კერძოდ, ხელშეკრულების 1-ლი მუხლის 1.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე იღებდა ვალდებულებას, კონტრაქტით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად ემსახურა სამინისტროს სამხედრო სამსახურში, ხოლო სამინისტრო - გადაეხადა სამხედრო მოსამსახურისათვის ანაზღაურება და უზრუნველყო იგი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით. ზემოაღნიშნული კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1 პუნქტის თანახმად, სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის ვადა შეადგენს 5 წელს, რომელიც აითვლებოდა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში ბრძანებით ჩარიცხვის დღიდან.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2012 წლის 01 მარტის №--- ბრძანებით საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის განკარგულებაში მყოფი, საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების II საარტილერიო ბრიგადის შტაბის ყოფილი G-1-ის კადრების ოფიცერი, მაიორი გ--- გ---ს ძე ბ---ი დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში 2012 წლის 30 იანვრიდან, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის N583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის თანახმად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უარი განაცხადა მოსარჩელის საჩივრის დაკმაყოფილებაზე, იმ საფუძველით რომ, ვინაიდან გ--- ბ---სა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული (26.06.2007 წ. #---) კონტრაქტი შეწყდა სამხედრო სამსახურის გავლის 5 წლიანი ვადის დასრულებამდე, ამდენად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ--- ბ---ის მიმართ, კონტრაქტის 5.1.9. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ არ წარმოშობია.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს რომ, მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლება მოხდა საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის N583 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის საფუძველით (მოსამსახურის კადრების განკარგულებაში გადაყვანა სამსახურებრივი გადაადგილებისას), რაც არ ყოფილა გ--- ბ---სა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული (26.06.2007 წ. #---) კონტრაქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივი პირობა.

სააპელაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებაზე, საქართველოს მოქალაქეები გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც, კონსტიტუციური სარჩელი №N614-616 (საქართველოს მოქალაქეები - გიგა ბარათაშვილი და კარინე შახპარონიანი საქართველოს თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ) დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს

კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის და სახმელეთო ჯარების თანამშრომელთა/მოსამსახურეთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №583 ბრძანების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და „სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა სამსახურის გავლის წესის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 21 ივლისის №582 ბრძანების მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლების შესაძლებლობას კადრების განკარგულებაში ყოფნის ვადის ამოწურვის მომენტიდან, თუ არ არსებობს სამსახურიდან გათავისუფლების კანონით განსაზღვრული სხვა საფუძვლები.

ამგვარად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილებით, (კონსტიტუციური სარჩელი №N614-616) გიგა ბარათაშვილის საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან დათხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო მასსა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებულ ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ცნობილ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებთან მიმართებით არაკონსტიტუციურად.

საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილია რომ, გ-- ბ---ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია კონტრაქტით ნაკისრ ან შესაბამისი საჯარისო წესდებით დადგენილ ვალდებულებების დარღვევას. კონტრაქტის მოქმედების პერიოდში საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 30 აპრილის #--- ბრძანებით, მე-2 ქვეითი ბრიგადის შტაბის G-1-ის კაპიტანი გ-- ბ---ი დაჯილდოვებულ იქნა მედლით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში უმწიკვლო სამსახურისათვის“. გ-- ბ---ის სამსახურიდან გათავისუფლების კანონით განსაზღვრული სხვა საფუძვლების არსებობა საქმის გარემოებებით არ დასტურდება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა არ ეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიციას, რომელმაც უარი განაცხადა მოსარჩელის საჩივრის დაკმაყოფილებაზე, იმ საფუძველით რომ, ვინაიდან გ--- ბ---სა და თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული (26.06.2007 წ. #--) კონტრაქტი შეწყდა სამხედრო სამსახურის გავლის 5 წლიანი ვადის დასრულებამდე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ-- ბ--ის მიმართ, კონტრაქტის 5.1.9. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ არ წარმოშობია.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ, თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 60<sup>1</sup>-ე მუხლში ჩამოთვლილია ის

საფუძვლები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა. კერძოდ, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლების შემადგენლობას, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების და ახალი გადაწყვეტილების მიღების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

## 5. საპროცესო ხარჯები:

5.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან გ-- ბ---ის სააპელაციო საჩივარი და სარჩელი დაკმაყოფილდა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გ-- ბ---ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება 250 ლარის და წარმომადგენლის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯის - 100 ლარის, ანაზღაურება.

## IV სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 389-ე, 391-ე, 395-ე მუხლებით

### სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. გ--- ბ----ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებული იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2015 წლის 19 ნოემბრის MOD --- ბრძანება;

4. დაევალოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეასრულოს 2007 წლის 26 ივნისის N--- ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1.9 პუნქტით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, გ--- ბ----- ისათვის საცხოვრებელი ბინის გადაცემა საკუთრებაში;
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისროს გ--- ბ---ის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 250 ლარის, და წარმომადგენლის მომსახურეობისათვის გაწეული ხარჯის - 100 ლარის, გადახდა;
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 21(ოცდაერთი) დღის ვადაში.

თავმჯდომარე:

გიორგი გოგიაშვილი

მოსამართლეები:

ნინო ქადაგიძე

მანანა ჩოხელი